# ცნობის ფურცელი

‧I Წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** კვირა, 22 აპრილი **№ 1443**

…ფასი დ*რ*ს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: …ებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
…ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში …ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო- …ობაში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

## რედაქციისაგან.

…რესპონდენტების საყურადღებოდ: რე…ციას მეტად ბევრი წერილები მოსდის სხვა …ხვა პირთაგან, რომელნიც ჰკითხულობ-…დაიბეჭდება თუ არა ესა და ეს კორე…ნდენცია, რატომ არ დაიბეჭდაო და … რედაქცია აცხადებს, რომ არავითარ …-მოწერას არ ჰკისრულობს კორეს…ნდენციების შესახებ, თუნდაც მარკები …ს გამოგზავნილი. კორესპონდენცი-… რომელნიც არ იქნებიან ცნობილნი …ქდვის ღირსად, რედაქცია არ ინახავს. …ტონებს და სხვაგვარ მოზრდილ წერი…, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, რედა…ინახავს სამ თვეს, რომლის განმავლო-… ავტორთ შეუძლიათ მოითხოვონ, …თვისაც მარკები უნდა გამოგზავნონ; …თვის შემდეგ-კი ეს წერილებიც მოსპო…იქმნებიან. (რ. 2—2)

## …ლისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

…ოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნა…, რომელთაც ხმა აქვთ თავად-აზნაურობის …ბაზე დასწრებისა, მობრძანდნენ 29 აპ…ს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის …ავად-აზნაურო ბანკის სადგომში, სადაც …ღეს დანიშნულია

### …თავად-აზნართა საგანგებო კრება.

…რების განსახილველი საგნებია: მოხსე… სარევიზიო კომისიისა სათავად-აზნაუ… მამულის გამგეობის მოქმედების შესა… ახალი დებულება ამ მამულის მართვა…ეობისა; არჩევანი მამულის გამგეობის …ის წევრებისა; ტფილისის საადგილ…ლო ბანკის დამფუძნებელთათვის და…უნებელ ფულების შესახებ; დეპუტატთა …ებულოს საქმის წარმოება და მოხე…ბი; ქართულ დრამატიულ საზოგადოე…პრეტენზია სათავად-აზნაურო მამულის …ეობისადმი. (ნ. 3—2)


## ტფილისის კერძო
## ამკურნალო
### მკურნალის გედევანიშვილისა.

…ოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმე…ების გარდა,

დ ი ლ ი თ:

…ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—…საათამდე.
…ხეიდ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და …ობა ელექტრობით—9—10 ს.
…ა მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირი… 11—12 საათამდე.
…ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი …—12 საათამდე.
…ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.
…იმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.
…ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინა… —12—1 საათამდე.
…დ. მარკევიჩი—სალოსტაქრო— 12½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
…დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და …ლესი—1½—2 საათამდე.
…ი. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა …2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

…ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი …—6 საათამდე.
…ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის …ოვანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე… —5—6 საათზე.

…გ მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)


## სწავლა-განათლების საქმის რეფორმის გამო.

უმაღლესად გამოცხადებულის რესკრიპტის შემდეგ რუსულს ჟურნალ-გაზეთობას გაცხარებული სჯა-ბაასი აქვს სწავლა-განათლების რეფორმის შესახებ. მოკამათენი ეხებიან მთელს სისტემას ამ საქმისას და ყოველის მხრიდან იკვლევენ სკოლის ახლანდელს პირობებს. აღსანიშნავია საყურადღებო ფაქტი, რომ სჯა-ბაასში საკვირველი ერთსულობა და ერთაზროვნობა ჰსუფევს. ცხადად სჩანს, რომ სკოლის აწინდელს სისტემას უკვე ნათლად გამოუმჟღავნებია თვისი ნაკლულევანებანი, რომელთა აცილების საჭიროება ყველას კარგა ხანია შეუგნია.

ჩვენ ამას წინად „პრესსა“-ში გვქონდა აღნიშნული რამდენიმე მოსაზრება მომავალ რეფორმების შესახებ; ეხლა კი საჭიროდ ვრაცხთ გავაცნოთ მკითხველთ, რას თხოულობს რუსეთის პრესსა და რასა სთვლის უსაჭიროესად დღეს-დღეობით.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყველა—პროფესორია იგი თუ პუბლიცისტი, მასწავლებელი თუ მშობელი—მტკიცედ ადგია იმ აზრს, რომ თავი-და-თავი საქმე საშუალო სკოლის რეფორმაა. ყველა ერთხმად აღიარებს, რომ თუ დღევანდელი კლასიკური სკოლა ძირიანად არ გადაკეთდა, არც უნივერსიტეტს ეშველება რამე, არც, საზოგადოდ, მოზარდ-თაობის სწავლა-განათლების საქმეს. რვა-ცხრა წელიწადი სრულიად ტყუილად ეკარგება დღეს მოზარდ-თაობას საშუალო სკოლაში,—გაიძახიან დღეს ისინიც, ვინც გუშინ ითვლებოდენ კლასიციზმის ერთგულ მსახურებათ; ლათინურისა და ბერძნულის ენების შესწავლაში მიდის საუკეთესო ხანა მოზარდთაობისა, იღუპება მისი საუკეთესო ძალ-ღონე და არარაფერში აღარ გამოადგება შემდეგში მათი ცოდნაო; გიმნაზიის დასრულების შემდეგ ყმაწვილი რამდენიმე წელიწადში ივიწყებს ყოველისფერს, გარდა ორიოდე ფრაზისა, რომლით მხოლოდ შეიძლება განირჩიოს იგი არა კლასიკისაგან; ჭკუა გონების სავარჯიშოდ უფრო გამოსადეგია ახალი ენების, მათემატიკის, ბუნების მეტყველობის შესწავლა და სწორეთ ეს საგნებია დათრგუნვილი კლასიკურ სკოლაში,—თითქოს განზრახ ჰსურდეთ ბავშვების გონიერების დამახინჯებაო; კლასიკურ სისტემამ ცხადად დაგვანახვა თავისი უვარგისობა: 30 წელიწადია აგერ, რაც რუსეთის ახალთაზდობა გულმოდგინედ სწავლობს ძველ ენებს, მაგრამ ყველა სფერაში, ყოველ ასპარეზზე სწორედ ამ 30 წლის განმავლობაში ვხედავთ დაქვეითებასა და დაცემას...

ეს მწარე ფიქრები კლასიკურ სკოლის შესახებ არა ერთხელ წარმოთქმულა რუსეთში, მაგრამ ღირს შესანიშნავი ის არის, რომ დღეს ეს ყოველმხრიდან გვესმის, რომ დღეს ამას ვკითხულობთ „ნოვოე ვრემია“-შიაც-კი, სადაც წინად ამგვარი მსჯელობა სახელმწიფო დანაშაულობად ითვლებოდა, რომ დღეს ამას სწერენ პროფესორები და პედაგოგები,—ეს მტკიცე ქურუმები კლასიციზმისა!

საზოგადო დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიყვანოთ მრავალ ნაწერ-ნათქვამიდამ ამ საგნის შესახებ, შემდეგია: კლასიკური საშუალო სასწავლებელი ძირიანად უნდა შეიცვალოს; სწავლას საფუძვლად უნდა დაედოს დედა-ენის და უცხო (ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ) ენების და მათის ლიტერატურის შეთვისება; მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების შესწავლა უნდა გაძლიერდეს; ძველი ენები უფროს კლასებში უნდა შეასწავლონ მხოლოდ მსურველთ; უნივერსიტეტის კარები უნდა გაეღოს ყველა საშუალო სასწავლებელთა კურს დამთავრებულთ.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს პროექტი ანუ წინადადება მართლაც ძირიანად სცვლის აწინდელს კლასიკურს სისტემას და სკოლას უახლოვებს თანამედროვე ცხოვრებას. თუ ხსენებული პროგრამმა განხორციელდა და რიგიანად იქმნა დაყენებული, უნდა მოველოდეთ, რომ საშუალო სასავლებელი ცოდნასაც მეტს მისცემს მოზარდ თაობას და განვითარებასაც, უფრო გაუვარჯიშებს ჭკუა-გონებას და უფრო შეაყვარებს გონებით მუშაობას...

ამგვარსავე ერთაზროვნობას იჩენენ ყველანი უნივერსიტეტის რეფორმის შეხახებ. აქაც ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ 1884 წლის წესდებამ დასცა უმაღლესი სასწავლებელი, და ურჩევენ მთავრობას 1863 წლის წესდების აღდგენას მცირეოდენის შეცვლით. მთავარი განსხვავება ამ ორ წესდებათა შორის შემდეგია: აწ არსებული წესდება სრულიად აუქმებს უნივერსიტეტის ავტონომიურს თავისუფლებას; მისი შეხედულობით, ყოველი სტუდენტი ცალკე მოსიარულე პირია უნივერსიტეტში და მას არავითარი საერთო საქმე, არავითარი კავშირი არა აქვს მეორე და დანარჩენ სტუდენტებთან; ამიტომაც უნივერსიტეტში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არც ყრილობებს, არც სასტუდენტო სასამართლოს, არავითარს საზოგადო საერთო დაწესებულება-საქმეს; პროფესსორებსა და სტუდენტებს შორის ჩადგა ადმინისტრატული დაწესებულება—ინსპექცია, რომელმაც სულ სხვა ჩვეულება-კანონი შეიტანა უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ერთმანეთს დააშორა მოსწავლე და მასწავლებელი და მოსპო ამხანაგურ-ზნეობრივი კავშირი როგორც მათ შორის, ისე თვით სტუდენტებს შორის. შემდეგ, აწ არსებულის წესდების მეოხებით, დაეცა პროფესორის მნიშვნელობა და შემცირდა რიცხვი ნამდვილად განათლებულ მეცნიერ-პროფესორებისა, რადგანაც მათი დანიშვნაარჩევა უმეტესად სამინისტროსაგან არის დამოკიდებული.

1863 წლის წესდება კი სრულიად სხვა პრინციპებზე იყო აშენებული. მაშინ უნივერსიტეტში ცოტად თუ ბევრად ავტონომიური წეს-წყობილება იყო. სტუდენტებს თავისი სამართალის გაჩენაც შეეძლოთ, ყრილობებსაც ახდენდნენ, წარმომადგენლებსაც ირჩევდნენ უნივერსიტეტის მმართველობასთან ურთიერთობის დასამყარებლად და, საზოგადოდ, მეტის თავისუფლებით სარგებლობდნენ; პროფესორების, დეკანების და რექტორის არჩევაც უმთავრესად პროფესორებისვე საქმე იყო; უნივერსიტეტში იყვნენ მოსწავლეები და მასწავლებელნი, ადმინისტრატიული დაწესებულება კი, დღევანდელ ინსპექციის სახით, არ არსებობდა.

ახლის წესდების შემოღების დღეიდანვე იწყება სხვა-და-სხვა სამწუხარო უთანხმოება-ამბები უნივერსიტეტში, რაც ცხადად გვიმტკიცებს ანორმალურის წეს-რიგის დამყარებას. საზოგადოებაში და პრესსაშიაც ხშირად ისმოდა საყვედური აწ არსებულის წესდების მიმართ, მაგრამ ხმა-მაღლა ამაზე ლაპარაკი დიდ ცოდვად ითვლებოდა მაინც და სწორედ იმიტომაცაა დღევანდელი მომენტი საყურადღებო, რომ ახლა ყველა ერთსა და იმასვე ქადაგობს მიმართულების განურჩევლად: „რუსსკიე ვედომოსტი“-ც და „ნოვოე ვრემიაც“ ერთხმად ჰღაღადებენ 1884 წლის წესდების მოსპობის საჭიროებას და 1863 წლის წესდების პრინციპების აღდგენას.

როგორის აზრისაა აღძრულ საგნების შესახებ თვით საერო განათლების სამინისტრო და მთავრობა, ეს ჯერ-ჯერობით არა სჩანს; მაგრამ მალე ყოველივეს გავიგებთ, რადგანაც უმაღლესმა რესკრიპტმა გენ.-ადიუტანტის ვანნოვსკის სახელობაზე დაავალა სათანადო უწყებას დაუყონებლივ შეუდგეს სწავლა-განათლების საქმის ძირითად რეფორმას.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 აპრილი.

**პეტერბურგი.** 20 აპრილს დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე პეტერბურგში დაბრუნდა. 20 აპრილსვე დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე საზღვარ გარეთიდან პეტერბურგში დაბრუნდა.

**კრონშტადტი.** ნავოსნობა დაიწყო.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს მოკლედ ატყობინებენ პეკინიდან იმ კომისიის მოხსენებას, რომელიც გერმანიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და იაპონიის ელჩებისაგან შესდგებოდა. ეს მოხსენება დღეს დანარჩენ ელჩებსაც ჩაჰბარდება. მასში ნათქვამია შემდეგი: „რადგანაც ცხადია, რომ ჩინეთს თავისი საკუთარი შემოსავლიდან 65,000 მილიონი გირვანქა სტერლინგის საზღაურის გადახდა არ შეუძლიან, ამიტომ ამ საზღაურის გადასახდევინებლად შესაძლებლად მიგვაჩნია შემდეგი ოთხი საშუალება: პირველი, ჩინეთმა ფული ისესხოს იმ პირობით, რომ სახემწიფოებმა ამ სესხის უზრუნველ—ყოფა არ იკისრონ, მაგრამ ეს ჩინეთისათვის დამღუპველი იქნება; მეორე, ჩინეთმა ფული ისესხოს იმ პირობით, რომ სახემწიფოებმა უზრუნველ-ჰყონ ამ სესხის გადახდა; მესამე, ჩინეთმა ობლიგაციები უნდა გამოსცეს ყოველ სახემწიფოსათვის იმდენი, რამდენსაც ეს სახემწიფო საზღაურად თხოულობს, ეს ობლიგაციები განსაზღრულ ვადაზე უნდა გაბათილებულ იქმნენ და რადგანაც ეს ობლიგაციები სარგებლიანები იქნება, ამიტომ იმათ შეუძლიანთ შინაგანი სესხიც უზრუნველ-ჰყონ; და მეოთხე, საზღაურის ყოველ

წლიურად გადახდა. მაგრამ ამას ის ცუდი მხარე აქვს, რომ საზღაურის გადახდა მეტად დიდ ხანს გაგძელდება, რაიცა სასურველი არაა. ხსენებულმა კომისიამ დაადგინა თვით მთავრობას მიანდოს ყველა ამ ოთხ საშუალებათა შესახებ რაიმე გადაწყვეტილობა მიიღონ; თითონ კომისია კი ერთხმად წინადადებას იძლევა, რათა საზღაურის გადასახდელად მოიხმარონ ჩინეთის შემოსავლის შემდეგი ოთხი წყარო: 1) საზღვაო ბაჟები, რომლებიც უკვე უცხოელების მხედველობის ქვეშაა, 2) სადამოჟნო ტარიფზე ფასის 5% მომატება; თუ ოპიუმს თავს დაანებებენ, მაშინ ეს მომატება $2^1/_2$-დან $3^1/_2$ მილიონ ტაელამდე მეტს შემოსავალს მისცემს ჩინეთს, 3) შინაგანი ბაჟები საზღვაო ბაჟების უწყებას უნდა ექვემდებარებოდნენ; ამ საშუალებით შეიძლება 3-დან 10 მილიონ დოლარამდე შემოსავალი მოემატოს და 4) ბაჟი უნდა დაედოს იმ საქონელს, რომელიც აქამდე თავისუფალი იყო ბაჟისაგან, მაგალითად: ფქვილს, ერბოს, ყველს, უცხოეთიდან შემოტანილ ტანისამოსს და ალკოჰოლს. ამ ოთხი საშუალებით, კომისიის აზრით, ყოველ წელიწადს სულ $5^1/_2$ მილიონი ტაელი შეგროვდება და შეიძლება რომ 15 მილიონიც მოგროვდეს. ამას გარდა კომისიამ, მხოლოდ ამ შემთხვევაში არა ერთხმივ, კიდევ ექვსი წინადადება წარადგინა შემოსავლის გადიდების შესახებ. კომისიის წევრები იმ აზრისანი არიან, რომ ადგილ-მამულის ბაჟს ვერას მოუმატებენ“. ყველა ელჩები გარდა ინგლისისა, ამერიკისა და იაპონიის ელჩებისა იმ აზრის არიან, რომ საზღვაო ბაჟს ეხლავე 10% უნდა მოემატოს. ელჩებმა კომისიის მოხსენება თავიანთ მთავრობებს გაუგზავნეს დასამტკიცებლად, ხოლო კომისიამ ამ მოხსენების შედგენის დროს საკმაოდ სისწორით ვერ ასწონ-დასწონა ის ცნობები, რომლებიც მას ხელთა ჰქონდა.

**პარიზი.** მინისტრების საბჭო. დელკასემ ილაპარაკა თავის მოგზაურობაზე პეტერბურგში. მინისტრმა განაცხადა, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შუა ყველა საკითხების შესახებ სრული თანხმობა ჰსუფევსო.

**ბუხარესტი.** რადგანაც კონსტანტინეპოლში შავი-ჭირით ავადმყოფობა შენიშნეს, ამიტომ ბოსფორიდან მოსულ გემებისათვის 10 დღის კაიანტინი დააწესეს. კონსტანციისა და კონსტანტინეპოლს შუა გემების მიმოსვლა შეჩერებულია.

**ბერლინი.** სარწმუნო ხმების მიხედვით, მიქელმა თხოვნა შეიტანა იმის შესახებ, რომ სამსახურს თავს ანებებს. «ლოკალ ანცეიგერ» იუწყება, რომ უმაღლესმა მთავრობამ ეს თხოვნა შეიწყნარაო.

**ბერლინი.** სარწმუნო ხმების მიხედვით, მოკლე ხანში სასოფლო მეურნეობის მინისტრი გამერშტეინი სამსახურიდან გადადგება

**ბერლინი.** დეპუტატთა პალატა. თავმჯდომარე იტყობინება, რომ ორივე პალატის დღევანდელი საერთო სხდომის შემდეგ სეიმი დაიხურებაო, ამიტომ წინადადებათა შემოტანა არ შეიძლებაო. პალატა თანხმობას აცხადებს და თავმჯდომარეს მადლობას უცხადებს მისი მოღვაწეობისათვის. თავმჯდომარემ თავის მხრივაც მადლობა გადაუხადა პალატას და დახურა პალატა; დახურვის დროს თავმჯდომარემ მეფის პატივსაცემლად «ჰოჰ» წარმოსთქვა.

**ბერლინი.** დღეს, ტემპელგოფის ველზე იმპერატორმა ჯარები დაათვალიერა და შუადღისას ქალაქში დაბრუნდა; ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა სადამოს იმპერატორი მიდის შმეცში, ჰესენ-ნასაუში.

**ბერლინი.** «ნაციონალ ცაიტუნგ»-ის სიტყვით, მინისტრი გამერშტეინი უეჭველად სამსახურიდან გადადგებაო.

**კაპშტადტი.** ჩარსულ კვირას ბურების დიდი ჯარები თავიანთ გამოჩენილი სარდლების უფროსობით გარტბ... შეერთდნენ. ბაბინგტონი სრული ერთი დღე ბურების მშვენივრად გამაგრებულ პოზიციებსა თოფებსა და ზარბაზნებს ესროდა, და 15 აპრილს ბურები იძულებული გაჰხადა თავიანთ სიმაგრეებისათვის თავი დაენებებინათ. მეორე დღეს ბაბინგტონს ძრიელი ბრძოლა მოუხდა ბურებთან.

**ბერლინი.** პარლამენტის წრეებში დღეს ელიან ცნობას ლანდტაგის დახურვის შესახებ; ელიან აგრეთვე მინისტრ პრეზიდენტის ბიულოვის განმარტებას. ზოგიერთი გაზეთი იტყობინება, რომ არხების პროექტის გამოისობით, მინისტრები მიკელი, გამერშტეინი, შენშტედტი და ვრეფელდი სამსახურიდან გადადგებიანო, მაგრამ სარწმუნო ცნობები კი ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არაა.

**ბელგრადი.** ლიბერალური დასის მეთაურებმა გადასწყვიტეს, რომ მომავალ არჩევნების დროს ოპოზიციას მიემხრნენ.

**ეკატერინოსლავი.** ეკატერინოსლავის, ალექსანდროვსკის და ვერხნე-დნეპროვსკის მაზრებში ანეული ყანები კარგებია, დანარჩენ მაზრებში—გვარიანია. ახალ თესლები მთელს გუბერნიაში ძალიან კაი ამინდების დროს დაითესა; ჯეჯილი ყველგან კარგი ამოვიდა; ბალახი გვარიანია.

(სადამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ «ტაიმსა»-ს 1 წერენ პეკინიდან, რომ «ველდმარშალს ვალდერზეეს და გენერალ ჩაფიფის შუა ხელმეორედ უთანხმოება მოხდაო იმის თაობაზე, თუ ვისი ჯარი უნდა ჰდარაჯობდეს «წმინდა ქალაქის„ შესავალ კარებს. ვალდერზეეს უნდოდა ამ კარებთან გერმანელების სადარაჯო რაზმი დაეყენებინა იმ საბუთით, რომ ამერიკელებს ცოტა ჯარიღა დარჩათ პეკინში, მაგრამ ამერიკის ჯარების სარდალმა ჩაფიმ განაცხადა, რომ მიუხედავად ამერიკის ჯარის რიცხვის შემცირებისა, ეს ჯარი წინანდებურად დაიცავს ხსენებულ კარებსაო.

✿ ვაშინგტონიდან სწერენ «მორნინგ პოსტა»-ს, რომ ჩინეთის ელჩს ვუტინ-ფანს თათბირი ჰქონია შეერთებული შტატების ბევრ გამოჩენილ პირთან, რათა გაეგო იმათი აზრი და შეხედულება და შეეკრიბა მასალა იმ მოხსენებისათვის, რომელიც მან უნდა შეადგინოს ჩინეთში საჭირო შინაგანი რეფორმების შესახებ. ვუტინ-ფანი ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩინეთის იმპერატორის ბრძანებას ასრულებს; ვაშინგტონში ირწმუნებიან, რომ ვუტინ-ფანის მოხსენებაში ის რეფორმები იქნება ნარჩევი, რომლებიც ამერიკის მთავრობას მიაჩნია საჭიროდო. ჩინეთის იმპერატორმა იმიტომ აირჩია ეს გზა, რომ სხვა სახელმწიფოებს არა სწყენოდათ, მარტო მაკ-კინლეის რად ეკითხებაო. ამერიკელები ირწმუნებიან, რომ ჩინეთის მთავრობა უსათუოდ შეიწყნარებს ვუტინ-ფანის მოხსენებასო. ვუტინ-ფანს განზრახვა აქვს, ბეჯითად ჩააგონოს თავის მთავრობას, რომ სწორედ ეხლაა მარჯვე დრო რეფორმების მოსახდენად და რომ დაგვიანება აღარ შეიძლებაო.

✿ «მორნინგ პოსტა»-ს ატყობინებენ შანხაიდან, რომ იანძეს პროვინციებში უკმაყოფილო ხალხი აჯანყებისათვის ემზადებაო. აჯანყება მოხდება მაისში და ივნისში. ამბოხებას იმით დაიწყებენ, რომ პირველად უცხოელების მიერ აშენებულ ყველა ეკლესიებს დაანგრევენ. ამ მოძრაობის მეთაურებს რევოლიუციონური მიზანი აქვთ, მაგრამ ინგლისის მოხელეები არავითარ შიშოთს არ მოელიან და ამიტომ მათ მეციხოვნე რაზმები შეამცირეს და არტილერია გაიყვანეს იქიდან. აქ ისმის, ვითომ კრაფ ვალდერზეეს მიუწერია გერმანიაში, რომ მაშველი ჯარის გამოგზავნა იქნება კიდევ საჭიროო.

✿ «ინდეპენდანს ბელჟ»-ის ლონდონელი კორესპონდენტი უსაფუძვლოდ სთვლის იმ ხმებს, ვითომც ინგლისის სამინისტრო მალე დაემხობაო და ან ზოგიერთი მინისტრი მაინც გადადგება სამსახურიდანაო.

«ეჭვი არ არის,—სწერს კორესპონდენტი,— რომ ის უთანხმოება, რომელიც ყოველთვის იყო სამინისტროს წევრებ შუა, ამ ბოლო დროს მეტად გაძლიერდა არა თუ მხოლოდ ბიუჯეტის თაობაზე, არამედ სამხრეთ აფრიკის ომისა და ჯარის რეფორმის თაობაზედაც. ის პესიმისტური განმარტება, რომელიც ხაზინის კანცლერმა გიქს-ბიჩმა ბიუჯეტის შეტანის დროს წარმოსთქვა,* სწორედ ამ უთანხმოების ნაყოფი იყო. მით მაინც სამინისტროს დამხობა შეუძლებელია, რადგანაც ეს არავის არა ჰსურს. ლიბერალებს არამც და არამც არ ჰსურთ ამისთანა გარემოებათა შორის, ესე იგი სამხრეთ აფრიკის ომის დასრულებამდე, იკისრონ თავიანთ თავზე ქვეყნის მართვა-გამგეობა, ხოლო კონსერვატორები თავიანთ მხრივ, დიდ გაჭირვებაში ჩავარდებოდნენ, ლორდ სოლსბერის მაგიერი კაცის ამორჩევა რომ მოუხდეთ, რადგანაც იმ პირთაგან, ვისაც კაბინეტის მეთაურობის გაწევა შეუძლიათ, არავის არა ჰსურს ეხლანდელ გაჭირვებული მდგომარეობის პასუხის გება თავის თავზე იკისროს. რადგანაც ხაზინის კანცლერმა გადასწყვიტა არაფრის გულისთვის ნახშირის ბაჟზე უარი არა სთქვას, ამისათვის დეპუტატთა პალატაც იძულებული იქნება ეს ბაჟი დაამტკიცოს».

ამას უნდა დაუმატოთ, ამბობს ერთი რუსული გაზეთი,—რომ კონსერვატიული გაზეთების კილო ბიუჯეტის შესახებ ამ ბოლოს დროს ცხადად შეიცვალა: გაკიცხვის ნაცვლად, ისინი აქებენ გიქს-ბიჩის სიმტკიცეს და წინასწარმეტყველებენ, რომ მისი პროექტი მთლად იქნება მიღებულიო.

✿ ლონდონში, ვესტმინსტერის სასახლის დარბაზში ამ დღეებში მოხდა ლიბერალური საზოგადოების წლიური კრება. ეს საზოგადოება დაარსებულია იმ აზრით, რომ მილიტარიზმს ებრძოლოს. კრებაზე დაესწრო ბევრი დეპუტატი და ინგლისელი საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენელი; დაესწრნენ აგრეთვე აფრიკანდერების დელეგატები მერიმანი და ზაუერიც. ინგლ. გაზ. «დეილი ნიუსა»-ში ამ ნაირადაა აწერილი ამ კრების სხდომა:

«თავმჯდომარემ წლიური ანგარიშის დამტკიცება სთხოვა კრებას და ამასთანავე განაცხადა, რომ მიუხედავად მედგარის წინააღმდეგობისა, ჩვენმა საზოგადოებამ ამ ერთი წლის განმავლობაში მაინც კარგი საქმე გაარიგაო და ქვეყანას ნამდვილი სარგებლობა მოუტანაო. ჩვენი თანამოქალაქეები თან და თან იგნებენ, რომ მილიტარიზმი მეტად ძვირად უჯდებათ და ჯიბეებს მეტად უთხელებთ; სასაცილო იყო სწორედ, როცა «სტანდარტა»-ში «შემოსავალზე ხარჯის გადამხდელთა», «ეკონომისტებისა», «ოჯახის პატრონებისა», «სოფლის დვლელთა» და სხვათა პროტესტით სავსე წერილებს ვკითხულობდით; ეს ვაჟ-ბატონები წინად ომის ცხარე მომხრ[ე]ები იყვნენ. ალბათ იმათ ეგონათ, რომ ბურებთან ომი «იაფად» დაჯდებოდა, რომ ის მხოლოდ «გასეირნება» იქნებოდა. როდესაც კაპის დელეგატმა მერიმანმა ლაპარაკი დაიწყო, ყველა ფეხზე წამოდგნენ და დიდი ოვაცია გაუმართეს. მერიმანმა სხვათა შორის სთქვა შემდეგი:

«იმპერიალიზმის ზრდამ და განვითარებამ ჩვენ ისეთი უცნაური ხილი გვიძღვნეს, როგორიცაა «ლიბერალური იმპერიალიზმი». დიდი ხანია მას შემდეგ, რაც საფრანგეთში «ლიბერალური იმპერია» არსებობდა. ყველამ იცის, თუ რად გადიქცა ეს იმპერია ცბიერი ნაპოლეონ III-ის ხელში. ლიბერალური იმპერიალიზმი— ეს ისეთი ხილია, რომლის გემოს ინგლისელები ეს არის ეხლა იგებენ».

მერიმანმა სთქვა შემდეგ, რომ ინგლისელებს დაავიწყდება არ უნდათ, თუ რანაირად გადაიხადონ ომზე წასული ხარჯები: ინგლისელებისთვის არაა საჭირო აღსნა, თუ რამდენად დამღუპველია ეს ლიბერალური იმპერიალიზმი. მას ჰგონია, რომ ინგლისი ისე ქონებრივ ზარალს არ უნდა სჩიოდეს, როგორც იმ სახელის დაკარგვას, რომელიც ინგლისს მთელი განათლებული ქვეყნიერობის სათავეში აყენებდა. იმპერიალიზმი ყველგან ამდაბლებს და ჰრყვნის ერსა: ასე იყო საფრანგეთში ნაპოლეონ III-ის დროს, ასე მოხდა ინგლისშიაც ჩემბერლენის დროს. იმპერიალიზმით დაბრმავებული ხალხი ვერ ჰხედავს ყველა იმ საძაგლობას, რომლებიც აუცილებლად მოსდევს ყოველ ომსა: ძალადობა, ჯაშუშობა, ერთი ერის მეორეზე მისევა. ყველა ეს ერთნაირად სახიდან ჰშლის გამარჯვებულთაც და დამარცხებულთაც. სამხედრო წესები—კანონიერობის უარყოფაა. ერთ... ოლქში ბრძანება იყო გაცემული, რომ მცხოვრებლები მოვალენი იყვნენ ინგლისელებისათვის არა თუ მხ... სურსათი, არამედ თავიანთ ფეხსაცმელიც ... ეცათ და იმ ... ინგლისის მთავრობის პოლიტიკა—ნამ... თავის თავის მკვლელობაა. ეს პოლიტიკა ... ნიერ, პატიოსან კაცებს მოსისხლე მტრ... ჰქმნის. თქვენ იცით, რომ წამებულთა სის... ქრისტიანობას გამარჯვება შესძინა.

დასასრულ, კრებამ დაადგინა რეზოლი... რომ იმპერიალიზმი, როგორც ეს ამას ... წარმოდგენილმა ბიუჯეტმა უჩვე დაამტ... ინგლისს ფინანსიურად დაჰღუპავს და გაჭ... ხელს შეუშლისო.

✿ კუნძულ კუბის ეროვნულმა კრებამ ... ტკიცა და ხელი მოაწერა კრების მიერ შ... ნილ კონსტიტუციის დებულებას. დიდ... ხალხმა, ყველა კლასისა და ყველა პოლიტ... დასის წარმომადგენელმა გაავსეს არა თუ ... დოდ გავანის უმთავრესი თეატრის შ... არამედ ყველა ახლო მდებარე ბაღები, მე... და ქუჩები. უკანასკნელი სხდომის ოქმის წა... ვის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და 40 წ... ვლობაში წაკითხულ იქმნა კუბის რესპუბ... კონსტიტუციის დებულება. რამდენიმე დე... ტმა მაშინვე წინადადება შეიტანეს, რომ ა... ბულებისათვის ხელი მოეწერათ. ეს წინად... როგორადაც წინადვე შედგენილი ცერემონია... კრებამ ერთხმივ მიიღო. ამ ოქმს ორი კა... მოაწერეს ხელი და ეს კალმები ამას იქით ... ტორიულ კალმებად ჩაითვლებიან. როცა ... ტიტუციის დებულებას ხელს აწერდნენ, ... ნი ფეხზე წამოდგნენ; რამდენიმე ორკეს... ერთად კუბის ეროვნული ჰიმნი დაუკრეს; ... ზიდენტის მაგიდის (სტოლის) წინ რიგზ... იარეს კუბის გმირებმა, რომლებიც მე... იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისათ... ლაკრეტმა, რივერმა, სანგილიმ და სპენერ... (სპენეროსი საარაკო პატრიოტია, გძელის ... დარა წვერით, რომელიც თითქო გაუვით... ლია ბრძოლისა და თოფის წამლის ბოლის... დიდძალი ურიცხვი ხალხი «ურაა»-ს ძახ... ეგებებოდა ამ გმირებს. შემდეგ ჩამოვარ... სიჩუმე და კრების თავმჯდომარემ კაპ... სთქვა:

«ჩვენ შევასრულეთ ის დიდებული საქმე, ... მელიც ჩვენმა ერმა მოგვანდო. ჩვენ მოვ... რეთ ამ შრომას მთელი ჩვენი ჭკუა, მხნ... და კეთილი მისწრაფებანი. გაუმარჯოს ჩვენ... ცადინეობას! ჩვენი უძვირფასესი იდეალი ა... დეზულ იყოს! ეს ბრწყინვალე დღე ჩვენი ... ტორიის ბედნიერი, თავისუფალი და დამო... დებელი კუბის რესპუბლიკის მტკიცე და ... კუნო საფუძველი იყოს»!

✿ პორტუგალიაში, ლისაბონში, იეზუ... ბის წინააღმდეგ დიდი კრება მოახდინეს. ი... იტების და საზოგადოდ ბერების წინააღ... აღელვება უფრო და უფრო ძლიერდება, ... ტუგალიის სხვა და სხვა ადგილას 4 მ... სტერს ცეცხლი წაუკიდეს. როცა პორტუგ... მეფე ხარების ჭიდაობაზე დაესწრო, ის... უვირილი: «დაიღუპნენ ბერები! დაიღუპნენ ... ზუიტები!».

✿ ისპანიაშიაც არა სცხრება ანტიკლე... ლური მოძრაობა ამ ბოლოს დროს ბერ... წინააღმდეგ 100-ზე მეტი კრება მოახდ... ბერების მონასტრებსა და სკოლებს პოლ... იცავს. ერთ ქალაქში ქუჩის ფანრები დაამსხ... ეს და გამოჩენილი კლერიკალების სახლ... ქვებს ესროდნენ ამ მანიფესტაციებში ქალ... დიდ მონაწილეობას იღებდნენ.

---

## ახალი ამბავი

✦ ტფილისის საბალოსნო სკოლის სამ... რნეო კომიტეტს მინდობილი ჰქონდა ... მუშავებინა—ხსენებულ სკოლის რეორ... ნიზაციის წესები და გამოენახა წყარო ... სკოლის შემოსავლისა. კომიტეტის აზრ... მეორე და მესამე კლასის მოსწავლეე... უნდა განაგრძონ სწავლა ოქტომბრამ... (თუმცა გამოფენისა და „სიდამპლის“ ... ზეზით მოსწავლეებს პრაქტიკული მუშა... თითქმის სრულებით არ შეეძლებათ); ... ცროს კლასების მოსწავლეები კი ...

...ბენ სწავლას ოქტომბრიდან. სკოლის წლიური შემოსავალი, კომიტეტის ...ანგარიშებით, იქნება 15, 906 მ. და ... აქედან მთავრობისა და კავკასიის სა...ნეო საზოგადოების სუბსიდია—600 ...ამდე. დანარჩენი 100,000 მანეთი ... შესდგეს მოსწავლეთაგან შემოტანილ ...ებიდან და ბაღის შემოსავლიდან. ...მ ბაღს ეხლა არავითარი შემოსავალი ...ქვს და გარდა ამისა სკოლა დავალია...ლია: კერძო პირების მართებს 5176 ...0 კაპ., და სამეურნეო საზოგადოებისა ...8 მ. 50 კ., სულ 9000 მანეთამდე. სკოლას ჯერ არ ჰყავს გამგე და საჭირო მასწავლებლებისა და არც შესდგომიან ამათ მოძებნას. ამიტომ ამისთანა პი...ბში სკოლის მოქმედების დაწყება სრულიად ...ით უნაყოფო იქნება.

... ჩვენმა მკითხველებმა იციან ქალაქის ...ობისა და ბელგიის უსახელო საზოგა...ის დირექტორის ბ-ნ რომბის შუა გამართული საქმე იმის შესახებ, რომ ეს ...ანსკნელი პირობისამებრ ქალაქს სესხად ...ძლევს 500,000 მან., რომელიც შემ...რაკი ბირჟაზედ კრედიტი გაიაფდებო...300,000 მან. უნდა გაეხადა. ამის გამო, ...ორც აღვნიშნეთ, ქალაქის მოურავ...ეპეშით მიჰმართა ბელგიის უსახე... საზოგადოებას ბრიუსელში და შე...ხა — თქვენგან აქვს დავალებული ...ს მოექცეს ქალაქს ასე, თუ იგი თავის ... მოქმედობსო? ბელგიის უსახე... საზოგადოებისაგან ქალაქის მოურავს ...იდა გუშინ-წინ დეპეშა, რომელ...ც, სხვათა-შორის, სწერს შემდეგს: ...უხაროდ ჩვენ ვერ დავაკმაყოფილეთ ...ნი წინადადება, რადგანაც ეგ პირობე...რულად არ ეთანხმებოდნენ ჩვენის ხე...კრულების პირობებს; 5 ივნისს 1900 ...ქვენ მიერ გამოგზავნილი წერილებიდ...სჩანდა, რომ ქალაქი, თანახმად ხელ-შე...ლებისა, ითხოვდა 500,000 მან. ავან...რაც კიდეც გარდაგიხადეთ 12 და 25 ...ემბერს, ნოემბერსა და ამა 1901 წლის ...რვალში. ამის და მიუხედავად, გვსურს ...მეძლების და გვარ პატივი ვსცეთ ქა..., ჩვენს საზოგადოებას ეხლა, როგორც ...ლოთვის, ჰსურს მოგელაპარაკოთ და ...ნთან ერთად განსაჯოს საქმე შესა...მებლად. ამასთანავე თუ მოისურ..., ამ საქმის შესახებ მოსალაპარიკებლად ...ლე დროში წამოვა ერთი ჩვენი ადმი...რატორთაგანი. ეს დეპეშა გუშინ-წინ ...ქის მოურავმა წარუდგინა ქალაქის გა...ბის სხდომას განსახილველად; გამგეო...ბა დაადგინა გაუგზავნოს ბრიუსელში მოხ...ულ უსახელო საზოგადოების გამგეო... შემდეგი დეპეშა: თუმცა რომ არ არსებო... კიდეც თქვენის რწმუნებულის ბ-ნ ...მეს წერილი იმის შესახებ, რომ უსა... საზოგადოება თანახმაა იმ პირობე... რომლითაც ქალაქს უნდა მიეღო უსა... საზოგადოებისაგან 500,000 მან., ქა...ს საბჭოს დადგენილება, რომელიც ...ბა უსახელო საზოგადოების წარმომა...ლის ბ-ნ რომბს, ისე ცხადია, რომ ჩვენ ...ირს ბ-ნ რომბისაგან ქალაქის საბჭოს ...ოქტომბრის დადგენილების გაგება-გან...ებათ, რომელსაც თქვენც თქვენის ...ლით ემოწმებითო. ყოველ შემთხვევა... ...ნიშვნელობა ექმნება თქვენ მიერ გა...ავნილ წარმომადგენლის მოსვლას ...ობრივ ამ საქმის გამო უკმაყოფილების ...პობლადაო.

... გუშინწინ, ... ლს, ქალაქის გამ...ის სხდომაზე გამგეობამ განიხილა წინა...ბა ინჟენერების ხატისოვისა და ბრაი...კისა, რომელნიც, როგორც უკვე ...და აღნიშნული, ითხოვენ მიეცეს ...ება ირევნის მოედნიდან ველიამინო... ...ირ გასჭრან სოლოლაკის ... და გაიყვანონ ტონელი საბოტანიკო ...ბანოების ალაყაფის კარებამდე; ...სიონერებს განზრახვა აქვთ ამ ტუნელ... ...ლექტრონით მოსიარულე ვაგონები გამართონ. ქალაქის გამგეობამ, სცნო რა დიდი სარგებლობა აღნიშნულ ტონელის გაკეთებისა და ზედ რკინის გზის გაკეთებისა, დაადგინა: 1) ინჟენერთა ბარაილოვსკისა და ხატისოვის განცხადება წარედგინოს ქალაქის საბჭოს მოხსენებით, რომ ამორჩეულ იქმნეს კომისია, რომელსაც დაევალოს ქალაქის გამგეობასთან ერთად შეიმუშავოს პროექტი განზრახულ კონცესიისა და ეს პროექტი, შემდეგ წარუდგინოს განსახილველად ქალაქის საბჭოს; 2) საბჭოს მიერ აღნიშნულ დადგენილების დამტკიცების შემდეგ, შეეკითხნენ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს, რომლის განკარგულებაშიაც არის საბოტანიკო ბაღი, ხომ არასფერი ექმნება საწინააღმდეგო ქალაქის გამგეობის მიერ აღნიშნულ განზრახვის სისრულეში მოყვანისა და 3) თანახმად ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულების მე-3 მუხლისა, შეეკითხნენ ამ საზოგადოების წარმომადგენელს—თანახმა იქნება თუ არა იგი მიიღოს თავზე სოლოლაკის კლდეში ტონელის გაყვანის და ზედ რკინის გზის გამართვის საქმე იმ წესით, როგორიც იქმნება შემუშავებული კომისიისაგან.

✦ 12 მაისს ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესსია განიხილავს ქ. ახალ ქალაქში ფრიად საყურადღებო საქმეს-24 გლეხისას, რომელთაც ჰბრალდებათ წინააღმდეგობის გაწევა და შეურაცყოფა მაზრის უფროსის ზისერმანისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს საგანგებო მინდობილებათა მოხელის მაჩაბლისა. ხსენებულ მოხელეთ მინდობილი ჰქონდათ მიწის ძვრის მიზეზის გამო სოფ. სამსარის მცხოვრებთა მეორე ადგილას გადასახლება.

✦ ამიერ კავკასიის საექიმო ნაწილის გამგემ ბ. ფენომენოვმა შეიმუშავა პროექტი მფარველობის გაწევისა მიგდებულ ბავშვებისათვის. კავკასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით ეს პროექტი განიხილა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც შესდგებოდა ექვსის კაცისაგან. კომისიამ მოიწონა ფენომენოვის პროექტი. პროექტით, ყველა საგუბერნიო ქალაქებში უნდა დაარსდეს ქალთა კომიტეტები, რომელთაც უნდა იზრუნონ მოგდებულ ბავშვებზე.

✦ პარასკევს, 20 აპრილს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნული საზოგადოების წევრთა კრება საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა.

✦ როგორც ადგილობრივი გაზეთები იტყობინებიან, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად ნამყოფი ბ. იანოვსკი პეტერბურგიდან წამოსულა კავკასიაში.

✦ შუშისა და ჯებრაილის მაზრებში კალია გამოჩეკილა. ადმინისტრაცია თხოულობს კალიასთან საბრძოლველად—შუშის მაზრაში 4000 მ. და ჯებრაილისაში—2000.

✦ 20 მაისს საექიმო საზოგადოების სხდომაზე გადასწყვიტეს გამოიკვლიონ ბაქტერიოლოგიურად ავჭალის წყაროების და წყლის მილების წყალი. ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია ექ. რაზამატის განცხადებით, რომ ბაქტერიების მხრივ ეს წყალი მავნებელი არისო.

✦ 2 მაისიდან კავკასიის სამხედრო შტაბში დაიწყებს მოქმედებას საეგზამენო კომისია იმ ოფიცერთათვის, რომელთაც განზრახვა აქვთ შევიდნენ აკადემიაში.

✦ ამ უკანასკნელ დროს ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა უარს ეუბნება შემწეობაზედ ისეთ მოთხოვნილებას, როგორიც არიან—მასწავლებელ ქალთა საზოგადოება, სახალხო კითხვების კომისია, გამოფენის კომისარიატი და სხვანი. გამგეობა ამ შემთხვევაში ვითომ უნდა ხელმძღვანელობდეს ფინანსთა მინისტრის მოწერილობით. მაგრამ ამ მოწერილობაში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ ყოველი შემწეობის აღმოჩენა საქველმოქმედო და განმანათლებელ დაწესებულებათათვის შეატყობინონ მას.

✦ ფერისცვალების კათოლიკეთა ეკკლესიის წინამძღვარმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, რათა აიძულოს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობა ან საჩქაროდ სისრულეში მოიყვანოს განსვენებულ ზუბალაშვილს ანდერძი შესახებ დავრდომილთა და უმწეოთა თავშესაფარისა, ან, თუ ქალაქი უარს ამბობს ამ საქმეზე, გადასცეს ნაანდერძევი ქონება, თანახმად ანდერძისა, ხსენებულ ეკკლესიასთან არსებულ „როზალიოს“ ძმობას.

✦ გუშინ, 21 აპრილს, რკინის გზის სადგურ ტფილისზე ერთი შემაძრწუნებელი უბედურება დატრიალდა. რკინის გზის მმართველობა სადგურის მიდამოს აფართოვებს, რისთვისაც საჭირო შეიქნა ერთის კლდის დანგრევა. ეს საქმე იჯარით აიღო ვიღაც სულხანოვმა და შეუდგა კიდეც მუშაობას, მაგრამ მას არ მიუღია არავითარი ზომები მუშების უბედურებისაგან უზრუნველყოფისათვის, არ დაუყენებია საქმის მეთვალყურედ მცოდნე ტეხნიკი და აკი ამას უბედურებაც მოჰყვა:

გუშინ დილას ერთი მუშა ადრე მისულა და დაუწყია მუშაობა; უცბად მონგრეულა კლდე და საბრალო მუშა ქვეშ მოჰყოლია. უცნაურს „ხაზეინს“ საქმის მიფუჩეჩებაც კი მოუნდომებია: როცა შეუტყობინებიათ მისთვის ეს ამბავი, იგი მისულა ადგილობრივ, გამოუთრევია მკვდარი კაცი კლდიდგან და სადღაც წაუღია; მაგრამ მას შემთხვევით წინ შეხვედრია პოლიციის მოხელე, რომელსაც ამ საქმის გამო ჯეროვანი ოქმი შეუდგენია. საქმე გამოძიებაშია.

✦ სოფ. რუისიდან (გორის მაზრა). გვწერენ: „ამ თვის 8-ს, ე. ი. კვირაცხოვლობა დღეს, რუისში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: მთელი ერთი მლებრიანთ უბანი, ლეჩაქოსნებიც კი, დაერია ერთს ოჯახს გურასპაშლისას და კეტებით საშინლად სცემეს. ერთი ამ ნაცემთაგანი მეორე დღესვე გარდაიცვალა, ხოლო მეორე—ჯერ კიდევ ცოცხალია. მაგრამ შენს მტერს, რომ ის არის: მთლად დაჩეჩქვილს, სისხლიდგან დაცლილს წამდა უსუმ გული ულონდება. ამათთან ერთად არის ნაცემი ოჯახის რძალიც და 7—8 წლის ბავშიც, მთელი უბანი შესდგება ამ მლებრიანთაგან და მათში მხოლოდ ეს ერთი კომლი იყო გურასპაშვილი, რომელსაც დიდი ხანია სდევნიან და არც ერთს შემთხვევას არ ჰკარგავდნენ, რომ ან არ გაელანძღათ, ან პირდაპირ სახლში არ მისჭრომოდნენ. 15 ამ თვეს მოვიდნენ ექიმი და გამომძიებელი. აღმოჩნდა, რომ მიცვალებული ყოფილა მსხვერპლი ღედაკაცისა.

✦ ფოთიდან გვწერენ: „კვირას, 8 აპრილს, ფოთის საზოგადოების კლუბის დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან, კნეინა ე. აბაშიძის მეთაურობით, გამართული იყო წარმოდგენა ადგილობრივ ორ კლასიან სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქმნა პირველად „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“ ა. ცაგარლისა და მეორედ „ოინბაზი“—მისივე: წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ელენა კლდიაშვილი, კნიაჟნა ნ. აბაშიძე და ქ-ნი ნ. ყანჩაველისა და კაცებში თავადნი ფალავა, ვ. აბაშიძე, ბ.ნნი ვ. გოლოვინი და ი. ჩახავა. წარმოდგენამ საზოგადოთ კარგად ჩაიარა. ხარჯს გარდა, წმინდა შემოსავალი სკოლას დარჩა ას ცხრა მანეთი და ხუთი კაპეიკი, რაც უკვე გარდაეცა სკოლის ხაზინადარს“. მასწავლებელი ქალი ხსენებულ სკოლისა ნინო პარკაია უღრმესს მადლობას სწირავს როგორც მოთავეს ამ საღამოსას კნ. ე. აბაშიძისას, ისე ყველა იმ პირთ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენის გამართვაში.

✦ ს. ვარციხედან (ქუთაისის მაზრა) გვწერენ: „28 29 მარტს სუსხიანი ამინდი იდგა, რის გამოც ძალზე დაზარალდა ახლად გამოტანილი ვაზის ყლორტები. 1—8 აპრილამდე ჰქროდა აღმოსავლეთის ღონიერი ქარი, რომელმაც უამისოდაც დაზიანებულ ვაზის ახალ გამოტანილ მტევნებზე ცუდი გავლენა იქონია. 8—16 აპრილამდე ძრიელ სიცხეები დაიკავა, რის გამო საყანე მიწას ... შეჩერდა. 16 აპრილს მოვიდა ცოტა წვიმა, მაგრამ გამოგვალულ მიწისთვის სამყოფი არ შეიქნა“.

✦ გუშინ, 21 აპრილს, ერევნის მოედან ზედ განსვენებულის ალექსანდრე როინაშვილის სახელობის ფოტოგრაფიაში ერთი მეტად შემაწუხებელი უბედურობა მოხდა: ნაშუადღევის 1-ლ საათზედ აღნიშნულ ფოტოგრაფიაში მოსწავლე 16-17 წლის ახალგაზდა იასონ მომცელიძე რაღაც საქმისათვის ასულიყო სახლის სახურავზედ; მომცელიძე უეცრად წაფორხილებულა და პირდაპირ მეოთხე სართულიდგან გადმოვარდნილა და იქვე სული განუტევებია.

საბრალო ყმაწვილის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

✦ გუშინ ჩვენ მოთხრობილი გვქონდა გეოქჩაის მაზრის მცხოვრების მაჰმედ-ახმეტ-ოღლის დაჭერის ამბავი. იმავე დღეს, საღამოს, ტფილისის რკინის გზის სადგურზე დაიჭირეს მისი ამხანაგი კასუმ-ქერბალაი-ალაქპერ-ოღლი. ეს უკანასკნელიც სპარსეთში აპირობდა გაპარვას, რაკი გაიგო, რომ მას ციმბირი გადაუწყვიტეს.

# პრესსა

„ნოვოსტი“-ს მოჰყავს საინტერესო ცნობები სახელმწიფო სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების მოღვაწეობის შესახებ 1899 წლის განმავლობაში. მოგვყავს აქ უმთავრესი ცნობები და ამასთანავე ერთი საყურადღებო შენიშვნა ხსენებულის გაზეთისა.

„საანგარიშო წელს სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკს სულ გაუცია 1954 სესხი 2.098.103 დესეტინა მიწის გირაოთი 73.850.200 მანეთის. 1900 წლის 1-ლ იანვრისთვის ამ ბანკს სულ ჰქონია დაგირავებული 20.417 მამული, რომლებშიაც გაუცია 613.298.100 მან. სესხი. აღნიშნულ 20 ათას დაგირავებულ მამულიდან 2173 მამული გადასულა თავად-აზნაურთაგან სხვა წოდებათა პირების ხელში.

იმავე წლის განმავლობაში საგლეხო საადგილ-მამულო ბანკს გაუცია 5621 სესხი 44.569.437 მანეთისა; ამ სესხით გლეხებმა შეიძინეს 717.386 დეს. მიწა. გარდა ამისა ბანკმა გასცა კიდევ 185 სესხი 771.664 მანეთისა იმ მამულების გირაოთი, რომელიც გლეხებმა წინა წლებში შეიძინეს. 1900 წლის 1-ლ იანვრისთვის საგლეხო ბანკს ჰქონია სულ გაცემული 38.421 სესხი 191.588.006 მანეთისა, რის შემწეობით რუსეთის გლეხობამ შეიძინა საკუთრებად 4.284.432 დესეტ. მიწა“.

ორთავე ბანკების ანგარიშების ბეჯითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ რუსეთში საგლეხო ბანკის მოღვაწეობა დღითი დღე ძლიერდება. ბანკი არ ზოგავს არავითარ საშუალებას და გლეხებს დიდ შემწეობას აძლევს ადგილ-მამულის შესაძენად. მიუხედავად იმისა, რომ კანონი მეტ შეღავათს სათავად-აზნაურო ბანკს ანიჭებს, ვიდრე საგლეხოს, უკანასკნელის საქმეები უკეთ მიდიან. აღნიშნავს-რა ამ გარემოებას, გაზეთი „ნოვოსტი“ ეხება სამიწად-მფლობელო კრიზისს და გამოსთქვამს შემდეგ საყურადღებო მოსაზრებას: ბოლოს დროს ბევრსა სწერენ და ბევრს ლაპარაკობენ, რომ სათავად-აზნაურო მიწად-მფლობელობა დიდს გასაჭირშიაო; ციფრებით ხელში გვიმტკიცებენ, რომ შემოსავალი ძლივსა ჰფარავს სათავად-აზნაურო ბანკში შესატან სარგებელსაო და ამიტომ თავად-აზნაურნი დიდ განსაცდელში ჩავარდნენ და გადიქცნენ ბანკის უბრალო ნოქრებადაო. რას მოასწავებს ესაო, ჰკითხულობს გაზეთი და ადარებს სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკების ზოგიერთ პირობათ. სათავად-აზნაურო ბანკი, შუათანა აღრიცხვით, იძლევა თითო დესეტინაზე 35 მანათს, საგლეხო ბანკი კი 62 მანათს, ე. ი. თითქმის ორჯელ მეტს; თითო დესეტინა დაგირავებულ მიწაში თავადი ან აზნაური აძლევს ბანკს $4\frac{1}{2}$ პროცენტს (წინად 4%

აძლევდა), გლეხი-კი აძლევს $5^1/_4$ პროცენტს, ე. ი., როდესაც თავადი ან აზნაური იხდის დესეტინაში 1 მ. 40 კ., წელიწადში, გლეხი იხდის 3 მ. 26 კაპ., ე. ი. ორჯელ მეტს. ამრიგად თავადი და აზნაური ერთი ორად უკეთეს პირობებშია, ვიდრე გლეხი; მიუხედავად ამისა, ყოველ წუთს გვესმის ჩივილი და წუწუნი თავად-აზნაურობისაგან, გლეხობა-კი სდუმს და, პირიქით, უფრო და უფრო ეტანება ბანკს. აქედან ცხადიაო, ამბობს გაზეთი, რომ

„ან თავად-აზნაურთა ჩივილი უსაფუძვლოა ან და ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ უფრო მეტ ჩივილს გლეხებისაგან. თუ ვირწმუნებთ, რომ ილუპება სათავად-აზნაურო მფლობელობა დესეტინაზე 1 მ. 50 კ. გადასახადის გამო, საეჭვოდ ხდება გლეხების კეთილდღეობა, რომელთაც დესეტინაზე 3 მ. 26 კაპ. ჰხდებათ. თუ საგლეხო ბანკს გლეხებისათვის სარგებლობა მოაქვს, სათავად-აზნაურო ბანკს ორჯელ მეტი სარგებლობა უნდა მოჰქონდეს. ხოლო, თუ ჩივილი ისმის, რომ სათავად-აზნაურო ბანკი ჰღუპავს თავად-აზნაურთ, მაშინ ადგილი არ უნდა ჰქონდეს იმ რწმუნებას, რომ საგლეხო ბანკი ხელს უწყობს გლეხების კეთილდღეობას“.

## პროვინცია

**კახეთი.** ეს კუთხე ჩვენის ქვეყნისა არაფრით ჰგავს ჩინეთის მიუდგომელ ადგილებს, სადაც ევროპიელთა ფოსტა უცნაურად იკარგება. არც დიდი გალავნით არის გაყოფილი ტფილისიდან, მაგრამ ფოსტა-კი სწორედ ჩინური გვაქვს ისევე, როგორც ჭამები. ჯერ არის, რომ კვირაში ორჯელ მიდის თელავიდან ფოსტა და ეს თრიც ორად არ ჩაითვლება. კანონით კვირა-უქმე დღეს მ. დაზღვეულ წერილების მიღება დილის ცხრა საათიდან თერთმეტამდის შეიძლება. ამ დროს-კი სწორედ ვერ მოასწრობ და უნდა გადასდო გაგზავნა ხუთშაბათისათვის. კვირიდან ხუთშაბათამდის ოთხი დღეა. გამოდის, რომ სიტყვით ორჯელ მიდის თელავიდან ფოსტა და საქმით-კი ერთხელს მეტად ვერ ვსარგებლობთ. ვერ გამიგია: თუ კვირა-უქმე დღეები ფოსტაში მოსამსახურეთათვის საპატიო დღეებია, როცა უნდა მათ დაისვენონ, რატომ იგივე დღეები ისევ საპატიო და სასვენებელ დღეებად არ უნდა ჩაითვალოს სხვებისათვისაც? განა ფოსტაში მოსამსახურენი სხვა არსებანი არიან და ჩვენ-კი სხვანი? თუ კვირა-უქმე დღეებს არჩევენ სხვა დღეებიდან, ზემოხე აღნიშნული წესი უკანონოდ უნდა ჩაითვალოს, კვირა-უქმე დღეებში სადმრთო მსახურება სრულდება სწორედ იმ დროს, როცა კორესპონდენციის მიღება არის დანიშნული, ე. ი. ცხრიდან თერთმეტ საათამდის. მაშასადამე ეს სათოსტო წესი არც ფოსტაში მოსამსახურეთ და არც წერილების გამგზავნელებს ნებას არ აძლევს სადმრთო მოქმედების დასწრებისას. ფოსტაში მოსამსახურეთათვისაც და გამგზავნელებისათვისაც სამლოცველო სახლად ფოსტის კანტორა გადაქცეულა. ეხლა ეს ვიკითხოთ, რამ გამოიწვია ამისთანა წესი, რომელიც უწესობის მეტს არასა ჰშობავს? თვით სოკრატიც რომ ავაყენოთ მკვდრეთით, ნათქვამის პასუხად იმის მეტს ვერას იტყვის ის, რომ მაგ წესიერებით უწესობისა არა მესმის რაო. თუ ასე არ იყოს, განა იქ, სადამაც კვირაში ორჯელ მიდის ფოსტა, სხვა დღე არ აირჩევა ამისთვის, თუ არ კვირა?

დაგვრჩომია მხოლოდ მოვიგონოთ ის კურთხეული დრო, როცა ფოსტა ყოველ დღე მიდიოდა და მოდიოდა. ნუ გეგონებათ, რომ ამისთვის განსაკუთრებითი კანდიციები დასჭირდებოდეს მთავრობას. იყო საქმის სათავეში დვთის ნიერი კაცი, რომელმაც ყოველ დღე მოსიარულე დილიჟნის პატრონი დაათანხმა ფოსტის ტარებაზედ, გასცა ბრძანება ჩააბარეთ დილიჟნის კონდუქტორს საგზაო ფოსტა და გათავდა. ყოველ დღე კიდეც ვგზავნიდით, კიდეც ვიღებდით. ახლა ორი დილიჟანსი მიდის და ორი მოდის თელავიდან ტფილისში და ტფილისიდან თელავში მუდამ დღე და განა რაც ერთ დილიჟანს შეეძლო, ეხლა ისავე ორს არ შეუძლიან? კი ბატონო, შეძლებით კი შეუძლიან, თუ დვთისნიერობა იქმნება. საჭიროა მხოლოდ, ერთის მხრივ, სურვილი, და მეორეს მხრივ, თანხმობა. ერთი მოგვეპოვება, მეორე გვაკლია: ბ-ნი ობოვიანცი სიამოვნებით თანხმდება თვის დილიჟნებზედ ატაროს ყოველ დღე ფოსტა, საჭიროა მხოლოდ ფოსტის უფროსის სურვილი და სხვა არაფერი. რა თქმა უნდა, ამისთანა პირობებით შეიძლება მარტო უბრალო კორესპონდენციის ტარება და განა ეს დიდი დვთის წყალობა არ იქმნება ჩვენთვის? ვინც-კი ამ წყალობას მოიღებს ჩვენზე, სამუდამოდ დაუვიწყარ ჰყოფს თავსა. ჯერ მარტო იმ ახალ გაზდა სალდათების და მათი მშობლების ლოცვა-კურთხევა საკმარისი საბუთია. ცვლილების მოხდენისათვის საწყლები ზეციურ მონასავით მოელიან ერთმანეთისაგან წერილებსა! კახეთის მცხოვრებელნი ხომ ჯვარ-ცმულნი არიან წერილების გრძელ ვადიანობით: თელავიდან ტფილისში მიწერილის პასუხს მესამე კვირას მიიღებ და განა ეს გრძელი ვადა ჯვარცმა არ არის მშობლისა, რომლის შვილი ტფილისის ერთ-ერთ სასწავლებლის მოსწავლე რითმე ავად გამხდარა და დაწვრილებით შვილის ამბავს ელის

დიდს სიკეთეს გვიზამდა, ვინც-კი ჩვენი ფოსტის დღევანდელ წესს უკეთესად შესცვლიდა.

ნადიკვრელი.

—

**ოზურგეთი.** ქ. ოზურგეთში 7—8 წელიწადია, რაც დაარსდა მთელი ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა «შუამავალი». თავიდანვე ამ ამხანაგობამ აბრეშუმის წარმოების ხელის გაწყობა დაიწყო, რადგანაც ეს დარგი წარმოებისა გურიაში უფრო შესამჩნევი იყო და უყურადღებოთაც დატოვებული: უცხოელი ვაჭრებ-ჩარჩები ნამეტან მცირე ფასებში ყიდულობდნენ ამ ძვირფას საქონელს; მართლაც ამხანაგობის მოქმედება ამ მხრივ მეტად საგრძნობელი და სასარგებლო დარჩა მცხოვრებთათვის: პარკის ფასები აიწია 4—5 მანეთიდან ფუთზე 14—16 მანეთამდის, იმდენად გაიტაცა ამხანაგობა ფასების მომატების სურვილმა და ადგილობრივი ნაწარმოების მოსაგებ ფასებში გასაღების მეცადინეობამ, რომ ვაჭრული მხარე საქმისა თითქმის სრულიად დაივიწყა; გასულ წელს, მაგალითად, 15—16 მანეთამდის ავიდა ფუთი პარკის ფასი. ამ წესით ამხანაგობას გამხმარი პარკი უსათუოდ 55—57 მანეთად უნდა გაეყიდა ადგილობრივად, რომ ხარჯში გამოსულიყო. ამხანაგობის გამგეთ და საზოგადოების უმეტესობას იმის იმედი ჰქონდათ, რომ ჩინეთში ატეხილი ომიანობა დააკავებდა ჩინეთის ნაწარმოებ აბრეშუმს და ამიტომაც ევროპის ბაზრის მოთხოვნილება აბრეშუმზე აიწევსო, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ომიანობამ უფრო დასწია ევროპაში ფასები. ამხანაგობის წარმომადგენელი იძულებული შეიქმნა თვითონ წასულიყო საზღვარ-გარედ და იქ ადგილობრივად ეცადა პარკი ხელ-მოსაცემ ფასში გაესაღებია. საუბედუროდ, საქმეს არა ეშველა-რა, ასე რომ ძალა-უნებურად უნდა შეურიგდეთ იმ აზრს, რომ წელს ამხანაგობა ზარალს ნახავს. მაგრამ ეხლა უნდა მამაცობა-წინდახედულობა; საჭიროა, რომ გაჭირვების და ფეხის წაკვრის დროს გონივრულის თანაგრძნობით მოვეპყრათ საქმეს: ვაჭრობა ყოველგან ხომ «რისკზე»—გაბედვაზე არის დამყარებული? განა მარტო ჩვენი ამხანაგობა არის იმის პირველი მაგალითი, რომ ვაჭრული მოლოდინი ცრუვდება? საქმის ნამდვილი თანამგრძნობლები ამ შემთხვევაში უნდა სცდილობდნენ, რომ ამხანაგობა, რომლის საზოგადო მნიშვნელობა უეჭველია ყველასათვის, სამუდამოდ არ ჩაიღუპოს. ჩვენ კი ქართველურ, ჩვენებურ წესს ვადგავართ: თავად იმ დროს, როდესაც გაცხარებული შრომა-მეცადინეობაა საჭირო მომავლისათვის: თესლის დარიგება-გასაღება, პარკის ყიდვა-გაყიდვა, ნდობის მოპოვება, ჩვენ კრიტიკა-ოპოზიციონური აზრებ-სურვილებით ვართ აღჭურვილ-გატაცებული და ყველა სიამოვნებით მოველით იმ ჟამს, როდესაც შევეტაკებით გამგეს და ჩავქოლავთ; ის კი გვავიწყდება, რომ ამით ჩვენ საერთო საქმეს ვღუპავთ: ვინც უნდა დაინიშნოს ეხლა ახალი გამგე, მაინც ერთი ორი თვით ვერ მოაწყობს საქმეს ისე, რომ ნდობა მოიპოვოს და საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგეს. 25 ამ თვეს არის დანიშნული გამგეს სურვილის წინააღმდეგ სარევიზიო კომისიის მოწოდებით წარმომადგენელთა კრება: თუ ამ კრების მიზანი გამგეს გამოცვლა არ არის და მარტოდ სარევიზიო კომისიის რჩევა—კრიტიკის მოსმენაა,—ესეც არ არის ამ ჟამად საჭირო: წინააღმდეგობა, ბრალ-მდებელი ოქმების შედგენა და ამხანაგობის მოქმედებაზედ ეჭვებით, უკმაყოფილებით გამოხმაურება ამ გაცხარებულ მუშაობის დროს, უადგილოა და საზარალოც; ამით ამხანაგობის მიმდინარე საქმეები ბრკოლდება და ზარალს ერთი ორად მეტი ზარალი მოემატება მომავალში; ამიტომ ჩვენი აზრია, განაგრძოს ძველმა გამგეობამ ამ თვეებშიაც საქმეები და პარკის ყიდვის შემდეგ დავნიშნოთ კრება.

წვრი.

## საღამოს დეპეშები

21 აპრილი

**ბერლინი.** პრუსიის სეიმის შეერთებული სხდომა. თავმჯდომარეობს კრეხტერი. ბიულოვი კითხულობს იმპერატორის მოწერილობას კრების დახურვის შესახებ. ბიულოვი შემდეგ ნაირ ახსნას იძლევა: „რადგანაც მთავრობამ კომისიის მუშაობიდან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ არხის პროექტის შესახებ ამ ჟამად შეთანხმება შეუძლებელია, მას არა ჰსურს ხელი შეუწყოს უაზრო კამათს. კრეხტერმა სამჯერ შეჰყვირა—გაუმარჯოს იმპერატორსაო. სხდომა დახურულად იქმნა გამოცხადებული. დაესწრნენ ყველა მინისტრები, მათ შორის მიკელიც.

**პრეტორია.** გამოიცა პროკლამაცია ტრანსვალში მოქალაქობრივის მმართველობის გაგრძელების შესახებ. იოჰანესბურგში, ბოქსბურგში და კრიუგერსდორპში საპოლიციო სამსახური გადაეცა სამოქალაქო უწყებას. გეიდელბურგში და სტანდერტონში წესდება სამოქალაქო სასამართლოები.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებს პეკინიდან ატყობინებენ, რომ გენერალ მაიორი კეტტელერი 23 აპრილს პაოტინფუდან გამოვა და წავა იაპონიაში. მისი სიტყვით, გერმანიის ჯარებს სამი კვირის განმავლობაში გამოიყვანენ ჩინეთიდან. ჰფიქრობენ, რომ ჩინელები ხელ ახლად გამაგრდნენ მთებში, საიდგანაც ისინი ამ ხანებში გამოიყვანეს. საფრანგეთის ჯარი გაყვანილ იქმნა პაოტინფუდან და მხოლოდ რამდენიმე რაზმს დასტოვებენ რკინის გზის დასაცველად.

გერმანელთა ჯარის კაცების რკინის გზის ლიანდაგზე დახოცვისა გამო საჭირო შეიქმნა მცხოვრებთა დასჯა, და სოფელი ამიტომ გადამწვარ იქმნა.

**რომი.** პალატა. მორინი აცხადებს, რომ თუმცა იტალიის ფლოტი თავისის სივრცით იმოდენა არ იყო, რამოდენაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყოველთვის შეეძლო დაეცვა ქვეყნის ინტერესები. მისი, მორინის, პროგრამმა იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანას ჰქონოდა ეკონომიურ პირობათა შესაფერი ფლოტი. მთავრობის სახელით მან გამოაცხადა, რომ სონნინოს წინადადებას მიიღებს.

**ბერლინი.** ჰფიქრობენ. რომ ფინანსთა მინისტრად იქმნება ეხლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი რეინბაბენი, მიწად-მოქმედების მინისტრად ეხლანდელი ფოსტის მინისტრი პოდბელსკი მინისტრთა გამოცვლა არ შესცვლის პროგრამას, მაგრამ მინისტრების შეცვლა შესანიშნავია იმით, რომ სამინისტრო ამას იქით უფრო ერთგვარი და უფრო ბიულოვის მიმართულების თანახმა იქნება.

**ბერლინი.** ხმა არის, რომ იმპერატორმა მიიღო სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი მინისტრების მიკელის, გამმერშტეინის და ბრეფელდისა.

### პეტერბურგის ბირჟა 20 აპრილს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93, |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,9 |
| პარიზზე 100-ფრანკში | 37, |
| ლონდონზე ჩეკები | 94, |
| ბერლინზე „ | 46, |
| პარიზზე „ | 37, |
| ბირჟის დისკონტი | $5^1/_2$,—7% |

| | მყიდვ. | გამყ. |
|---|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა | — | 96 |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | — | — |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | — | — |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | $88^5/_8$ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | — | — |
| $4^1/_2$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | $89^1/_4$ | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურკლ | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | $92^1/_2$ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | $92^1/_4$ | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | $84^1/_4$ | — |

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბად

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებ

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის სა ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათ დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბა ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფ სში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტ დისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევს 5 ს 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში დის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტ ლისში გადის ნაშუადღევს 3 ს. 5 წ. ( 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 2 (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუ გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბა ში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმ ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. ( 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 4 (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქ გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმ (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქ გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.)

## განცხადება.

გამგეობა თბილისის ეპარქიის თლის ქარხნისა აუწყებს თბილ მცხოვრებლებს, რომ წმინდა ცვილ გან ჩამოსხმული სანთელი ისყიდ შემდეგს ადგილებში: 1) სიონის კრებული ტაძრის (სობოროს) ე ში, 2) ალექსანდრეს ბაღში, 3) ლაბრის მოედანზე, ჯალალოვის სა ში, და 4) ვაკზლის ქუჩაზე, სახლი №

(3—2



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27.